საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „კლავიშიანი საკრავები“

შემოქმედებითი ტურები:
1. სპეციალობა;
2. მუსიკის თეორია:
სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა),
ტესტი მუსიკის თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა:
აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ბახი. პრელუდია და ფუგა (კარგად ტემპერირებული კლავირის I ან II ტომიდან);
2. კლასიკური სონატა (ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის);
3. ორი ვირტუოზული ეტიუდი:
   ერთი ეტიუდი – შოპენის ეტიუდები თხზ. 10 (გარდა N3 და N6) და თხზ. 25 (გარდა N7)
   მეორე ეტიუდი – შოპენის, ლისტის, რახმანინოვის (ეტიუდი-სურათი), სკრიაბინის, ბარტოკის, დებიუსის, სტრავინსკის ან პროკოფიევის;
4. პიესა.

2.მუსიკის თეორია:

სმენითი ანალიზი - აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი: ყველა წმინდა, დიდი და პატარა; გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) - გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი -მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით; შემცირებული, მცირე მაჟორული სეპტაკორდისექსტით (მაჟორში); ნონაკორდი -დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. (იკვრება 3-ჯერ)

ტესტი მუსიკის თეორიაში (მუშაობის დრო - 1,5 ასტრონომიული საათი).
ჰარმონიული ანალიზი: საანალიზოდ აბიტურიენტს ეძლევა ერთი ნიმუში მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ ან სამნაწილიანი, რთული სამნაწილიანი, ვარიაციული, რონდოს, რონდო-სონატის ან სონატური ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები, კადანსები, ფაქტურა, აკორდიკა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „საორკესტრო სიმებიანი საკრავები“

შემოქმედებითი ტურები:
1. სპეციალობა;
2. მუსიკის თეორია:
სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა),
ტესტი მუსიკის თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა

<u>ვიოლინო</u>
აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:
1. კაპრისი ან ეტიუდი;
2. ბახი. სონატის ან პარტიტის (სოლო) ორი ნაწილი (ნელი, ჩქარი);
3. კონცერტის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
4. ერთი პიესა.

<u>შენიშვნა:</u> თუ აბიტურიენტი შეასრულებს ვირტუოზულ პიესას, იგი გათავისუფლდება 1-ლი პუნქტით მოთხოვნილი კაპრისის ან ეტიუდის შესრულებიდან. ხოლო თუ პიესა არ იქნება ვირტუოზული, ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს 1-ლი პუნქტით მოთხოვნილი კაპრისი ან ეტიუდი

<u>ალტი</u>
აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:
1. კაპრისი ან ეტიუდი;
2. პოლიფონიური ნაწარმოების ორი ნაწილი;
3. კონცერტის ან სონატის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
4. ერთი პიესა.

<u>ჩელო</u>
აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:
1. კაპრისი ან ეტიუდი;
2. ბახის სიუიტა ჩელოსათვის: პრელუდია ან ნებისმიერი ორი ნაწილი;
3. კონცერტის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა;
4. ერთი პიესა.

<u>კონტრაბასი</u>
აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:
1. სხვადასხვა ტექნიკური სირთულის შემცველი ერთი ეტიუდი;
2. კონცერტის პირველი ნაწილი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა სონატის ორი ნაწილი (ნელი და ჩქარი);
3. პოლიფონიური ნაწარმოები (ერთი ან ორი ნაწილი)

<u>არფა</u>
აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:
1. ერთი ეტიუდი;
2. კონცერტის ან სონატის პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა:
3. ერთი პიესა.

<u>გიტარა</u>
აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ეტიუდი:
2. ერთი ნაწილი ი.ს.ბახის სიუიტიდან:
3. კონცერტის ან სონატის პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები: ანდა ვარიაციული ფორმა:
4. ერთი პიესა.

(საგამოცდო ნაწარმოებები სრულდება ზეპირად, გამონაკლისს წარმოადგენს XXI საუკუნის ნაწარმოებები, რომელთა შესრულებაც ზეპირად არ არის სავალდებულო)

2.მუსიკის თეორია:

სმენითი ანალიზი - აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით.

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი: ყველა წმინდა, დიდი და პატარა; გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სექსტით (მაჟორში); ნონაკორდი მაჟორული - დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. (იკვრება 3-ჯერ)

ტესტი მუსიკის თეორიაში (მუშაობის დრო - 1,5 ასტრონომიული საათი).
ერთტონალური მელოდიის ჰარმონიზაცია (8 ტაქტი)

შემოქმედებითი ტურები:
1. სპეციალობა;
2. მუსიკის თეორია:
სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა), ფურცლიდან კითხვა (ზეპირი),
ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა

საორკესტრო ჩასაბერი საკრავები

<u>ფლეიტა</u>

1. ყველა გამა - მაჟ, მინ, T_{35}, D_7. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით):
   ა) ტ.ბიომი. თხზ.37 №20, №21, №23
   ბ) ლ.დრუეტი. „25 ეტიუდი“ ფლეიტისათვის ერთ-ერთი
   გ) ე.კოლერი. თხზ.33 მესამე რვეულიდან
3. ერთი ნაწარმოები სოლო ფლეიტისათვის, არჩევით:
   ა) კ.ფ.ე.ბახი. სოლო სონატა ლა მინ. პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
   ბ) ი.ს. ბახი. პარტიტა ლა მინ. BWV 1013 პირველი ნაწ. „Allemande”
   გ) ჯ.ფ.ტელემანი. „12 ფანტაზია“-დან ერთ-ერთი.
4. ბაროკოს, კლასიკური, რომანტიული და თანამედროვე ეპოქის კომპოზიტორთა კონცერტის პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები ან ერთნაწილიანი კონცერტი მთლიანად.
5. ერთი ვირტუოზული პიესა. თავისუფალი არჩევანი

<u>ჰობოი</u>

1. ყველა გამა - მაჟ, მინ, T_{35}, D_7. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით): ფ.ვ.ფერლინგი ეტიუდების კრებულიდან „18 ეტიუდი“ ან „48 ეტიუდი“ ერთ-ერთი.
3. ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოების ორი განსხვავებული ხასიათის ნაწილი ან ჯ.ფ. ტელემანი „12 ფანტაზია“-დან ერთერთი.
4. კლასიკური ან რომანტიული პერიოდის ან თანამედროვე ეპოქის კომპოზიტორთა კონცერტის პირველი ან მეორე-მესამე ნაწილები ან ერთნაწილიანი კონცერტი მთლიანად
5. ერთი ვირტუოზული პიესა. თავისუფალი არჩევანი

<u>კლარნეტი</u>

1. ყველა გამა - მაჟ, მინ, T35, D_7. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით):
   ა) რ.შტარკი. ეტიუდების კრებულიდან ერთერთი
   ბ) კ.როზე. ეტიუდების კრებულიდან ერთერთი
   გ) ფ.ზიტეკი. კრებული „60 ეტიუდი“ დან ერთერთი
3. დიდი ფორმის ნაწარმოების პირველი, ან მეორე და მესამე ნაწილები:
   ა) კ.მ.ვებერი. კონცერტი №1 ფა მინორი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
   ბ) კ.მ.ვებერი. კონცერტი №2 მი ბემოლ მაჟორი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
   გ) ფ.კრომერი. კონცერტი თხზ.36 პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
   დ) ბ.კრუზელი. კონცერტი №1, №2, №3 პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
   ე) ლ.შპორი. კონცერტი №1, №2, №3, №4 პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
   ვ) კ.კუპრინსკი. კონცერტი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
   ზ) კ.სტამიცი. კონცერტი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები

თ) ფ.კრამარჟი. კონცერტი თხზ.36 პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
ი) ა.როზეტი. კონცერტი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
კ) ა.დიმლერი. კონცერტი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები

4. პიესებიდან ერთერთი:
ა) კ.ბერმანი. ტარანტელა
ბ) ე.ბოცა. „კლარიბელი“
გ) ი.ე.ბარა. პიესა „სოლ მინორი“
დ) ბელა კოვაჩი. მიძღვნების კრებულიდან ერთერთი

5. კანტილენური ხასიათის პიესის. თავისუფალი არჩევანი

<u>ფაგოტი</u>

1. ყველა გამა -მაჟ, მინ . T35, D_7. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით):
ა) ი.ვეიზენბორნი. ეტიუდების კრებუილიდან
ბ) ლ.მილდე. ეტიუდების კრებუილიდან
3. დიდი ფორმის ნაწარმოები პირველი, ან მეორე და მესამე ნაწილები:
ა) ვ.ა.მოცარტი. კონცერტი
ბ) კ.ვებერი. კონცერტი
გ) ა.ვივალდი. კონცერტი
დ) ბ.დვარიონასი. თემა ვარიაციებით
4. სავალდებულო პიესა: ი.ჰაიდნი.„ანდანტე“
5. ერთი ვირტუოზული პიესა. თავისუფალი არჩევანი

<u>ვალტორნა</u>

1. ყველა გამა - მაჟ, მინ, T35, D_7. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით):
ა) ი.ფრანცი. ეტიუდი №15 ან №16
ბ) ჯ.კოპრაში. ეტიუდი ნებისმიერი გარდა №1 და №2
გ) ჯ.გალე. ეტიუდები №35, №36, №39
3. დიდი ფორმის ნაწარმოები პირველი, ან მეორე და მესამე ნაწილები:
ა) ვ.ა.მოცარტი. კონცერტი №1, №3 პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
ბ) ი.ჰაიდნი. კონცერტი №2 პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
გ) ა.არუთინიანი. კონცერტი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
დ) ფ.შტრაუსი. კონცერტი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
ე) კ.სენ-სანსი. კონცერტი პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
ვ) ი.დ.შკრუფი. კონცერტი კადენციით პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
ზ) კ.მატისი. კონცერტი №2 პირველი ან მეორე და მესამე ნაწილები
4. წარმოდგენილი ნაწარმოებებიდან უნდა შეირჩეს ორი განსხვავებული ხასათის პიესა:
ა) ფ.შტრაუსი. ნოქტურნი
ბ) კ.სენსანსი. რომანსი
გ) ი.ს.ბახი. არია
დ) ა.მაჭავარიანი. სამშობლო
ე) ო.თაქთაქიშვილი. მინდიას არია
ვ) რ.ვაგნერი. ოცნებები (Грезы)
ზ) ა.მაჭავარიანი. სამშობლო
თ) ო.თაქთაქიშვილი. მინდიას არია
ი) ვ.ა.მოცარტი. რონდო
კ) ი.ჰაიდნი. რონდო
ლ) ლ.ვ.ბეთჰოვენი. რონდო

<u>საყვირი</u>

1. ყველა გამა - მაჟ, მინ, T_{35}, D_{7}. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით):
   ა) ვ.ბრანდტი. ეტიუდები საყვირისთვის
   ბ) ს.ა.ბალასანიანი. ეტიუდები
   გ) ვ.ვურმი. ეტიუდების კრებული
3. ნებისმიერი სამნაწილიანი კონცერტის პირველი ნაწ.
4. მოცემული ჩამონათვალიდან შეირჩეს ორი განსხვავებული ხასიათის ნაწარმოები:
   ა) ო.ფრენსი. საყვირის კონცერტი andante
   ბ) ი.ჰაიდნი. კონცერტი საყვირისთვის II ნაწილი andante Es dur
   გ) ი.ჰუმელი. კონცერტი საყვირისთვის II ნაწილი. andante E dur
   დ) ბ.გუნო. Ave Maria
   ე) ფ.შუბერტი. Ave Maria
   ვ) ა.გედიკე. კონცერტ-ეტიუდი allegro.
   ზ) პ.ჩაიკოვსკი. ნეაპოლიტანური ცეკვა.
   თ) ი.სტრავინსკი. პეტრუშკა. ბალერინას ცეკვა
   ი) მ.მუსორგსკი. სურათები გამოფენიდან. promenade.
   კ) ვ.შოლოკოვი. „არაბესკა“
   ლ) ბ.ასაფიევი. სკერცო

<u>ტრომბონი</u>

1. ყველა გამა - მაჟ, მინ, T_{35}, D_{7}. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით):
   ა) ჯ.როხუტი. „მელოდიური ეტიუდები ტრომბონისათვის“
   ბ) ბ.გრიგორიევი. „ეტიუდების კრებული ტრომბონისათვის“
   გ) ბ.ბლაჟევიჩი. „70 ეტიუდი“
   დ) ზ.ჰერინგი. „32 ეტიუდი“
   ე) ი.ბორდერესი. „30 ეტიუდი“
   ვ) ფ.ვობარონი. „40 ეტიუდი“
   ზ) ჰ.ბუსერი. „მელოდიური ეტიუდები“.
2. ნებისმიერი კონცერტის პირველი ნაწ.
3. ორი განსხვავებული ხასიათის პიესა. თავისუფალი არჩევანი

<u>ტუბა</u>

1. ყველა გამა - მაჟ, მინ, T_{35}, D_{7}. არპეჯიო
2. ერთი ეტიუდი არჩევით (ნოტებით): ბ.ბლაჟევიჩის ან ბ.გრიგორიევის ეტიუდები.
3. ერთი დიდი ფორმის ნაწარმოების პირველი ნაწ.
4. ორი განსხვავებული ხასიათის პიესა

(ჩასაბერ საკრავებზე საგამოცდო ნაწარმოებები სრულდება ზეპირად, გამონაკლისს წარმოადგენს XX ს. მეორე ნახევრის - XXI ს. ნაწარმოებები რომელთა შესრულებაც ზეპირად არ არის სავალდებულო)

დასარტყამი საკრავები

ბარაბანი : ერთი ეტიუდი ან ერთი პიესა
ქსილოფონი : ერთი ეტიუდი ან ერთი პიესა
მარიმბა ან ვიბრაფონი : ერთი პიესა
ტიმპანი : ერთი ეტიუდი

2.მუსიკის თეორია:

სმენითი ანალიზი - აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 5 კილო, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი: ყველა წმინდა, დიდი და პატარა, გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 5 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სექსტით (მაჟორში). ნონაკორდი მაჟორული - დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 5 აკორდი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)

ფურცლიდან კითხვა:

ერთხმიანი ნიმუშის ფურცლიდან კითხვა - სოლფეჯირება. მელოდია წარმოდგენილი იქნება ვიოლინოს ან ბანის გასაღებში (აბიტურიენტის საკრავის სპეციფიკის გათვალისწინებით), ერთტონალური, მეტწილად მდორე მოძრაობის, ტონალობებში 2 საგასაღებო ნიშნის ჩათვლით.

ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).

ტესტი შეიცავს 10 საკითხს მუსიკის თეორიის კურსიდან.

1. ბგერა და მისი თვისებები.
2. ბგერათრიგი.
3. სანოტო დამწერლობა.
4. მეტრი. რიტმი.
5. ინტერვალები.
6. აკორდები.
7. კილო. ტონალობა.
8. ქრომატიზმი.
9. ტრანსპოზიცია.
10. ტემპი. აგოგიკა. დინამიკა.
11. მელიზმები.
12. მელოდია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „სოლო აკადემიური სიმღერა“

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;

2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა), ფურცლიდან კითხვა (ზეპირი), ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა: აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ბაროკოს ეპოქის ნაწარმოები;
2. ნებისმიერი არია ბაროკოს ეპოქის გარდა;
3. ერთი კამერული ნაწარმოები.

2.მუსიკის თეორია:

სმენით ანალიზი - აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით

1. კილო: სამი სახის მაჟორი, სამი სახის მინორი, დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული) მაჟორული და მინორული პენტატონიკა. (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალები: მარტივი ყველა სახის წმინდა, დიდი და პატარა. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
3. აკორდები: სამხმოვანება - ოთხი სახის, სექსტაკორდი და კვარტსექსტაკორდი - მაჟორული და მინორული, სეპტაკორდი - მცირე მაჟორული და მისი შებრუნებები; მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შემცირებული ძირითადი სახით. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)

სოლფეჯირება:

ერთხმიანი ნიმუშის ფურცლიდან კითხვა (მარტივი, ერთტონალური, მელოდიური, არ უნდა შეიცავდეს ქრომატიზმებს, დიდ ნახტომებს, ლიგებს, არ უნდა იყოს რთული ზომა და 2-ზე მეტი საგასაღებო ნიშანი).

ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).

ტესტი შეიცავს 10 საკითხს მუსიკის ელემენტარული თეორიის კურსიდან.

1. ბგერა და მისი თვისებები.
2. ბგერათრიგი.
3. სანოტო დამწერლობა.
4. მეტრი. რიტმი.
5. ინტერვალები.
6. აკორდები.
7. კილო. ტონალობა.
8. ქრომატიზმი.
9. ტრანსპოზიცია.
10. ტემპი. აგოგიკა. დინამიკა.
11. მელიზმები.
12. მელოდია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „აკადემიური გუნდის დირიჟორობა“

შემოქმედებითიტურები:

1. სპეციალობა;

2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – კარნახი და სმენითი ანალიზი (წერა),

ტესტი მუსიკის თეორიის დისციპლინებში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა

დირიჟორობა ორი როიალის თანხლებით:

აბიტურიენტმა გამოცდაზე უნდა შეასრულოს 3 (სამი) ნაწარმოები. მათ შორის: ორი -თანხლების გარეშე, ერთი - თანხლებით. აქედან ერთ-ერთი - ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

1. საგამოცდო პროგრამის დირიჟორობა ზეპირად:
2. თანხლების (a cappella) გარეშე საგუნდო ნაწარმოებების:
   ა) საგუნდო პარტიტურის დაკვრა ფორტეპიანოზე ზეპირად:
   ბ) საგუნდო პარტიების სიმღერა (ხმიდან ხმაზე გადასვლით) ზეპირად:
3. ერთი ვოკალური ნაწარმოების (რომანსი ან სიმღერა) შესრულება სიმღერით ნოტებით:
4. გასაუბრება საგამოცდო პროგრამის ირგვლივ:
5. ფორტეპიანო: აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს არსებული ჩამონათვალიდან ერთ-ერთი:
   ა) ი.ს.ბახის პრელუდია და ფუგა „კარგად ტემპერირებული კლავირი“-დან:
   ბ) ი.ს.ბახის სამხმიანი ინვენცია:
   გ) კლასიკური სონატის პირველი ნაწილი (სონატური ფორმა)

2.მუსიკის თეორია

სოლფეჯიო: აბიტურიენტმა კარნახი და სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით.

კარნახი (ჩაწერის დრო - 0,5 ასტრონომიული საათი)**:** აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს სამხმიანი კარნახი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საშუალო რგოლში სოლფეჯიოს კურსის პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები (8 ტაქტი, ერთტონალური, მეტწილად აკორდული ფაქტურის, ზომაში 2/4 ან 3/4 ან 4/4, ტონალობაში, რომელიც შეიცავს არაუმეტეს 3 საგასაღებო ნიშანს).

სმენითი ანალიზი

1. კილო: მაჟორი და მინორი (ბუნებრივი, ჰარმონიული, მელოდიური, ორმაგად ჰარმონიული); მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული), მთელტონიანი, შემცირებული (გამოცდაზე შესრულდება 5 კილო, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ)
2. ინტერვალი: ყველა წმინდა, დიდი და პატარა (მარტივი და შედგენილი); გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) გადაწყვეტით; (გამოცდაზე შესრულდება 5 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სეპტაკორდი სექსტით (მაჟორში). ნონაკორდი - მაჟორული, დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე (გამოცდაზე შესრულდება 5 აკორდი, თითოეული დაიკვრება 2-ჯერ).
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (აკორდების სავარაუდო რაოდენობა - 10-12). (იკვრება 3-ჯერ)

ტესტი მუსიკის თეორიის საკითხებში (მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).
ა) მელოდიის ჰარმონიზაცია (8 ტაქტი);
ბ) ჰარმონიული ანალიზი: აბიტურიენტს საანალიზოდ ეძლევა ერთი ნიმუში მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ ან სამნაწილიანი ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ნიმუშის: ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები.